

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№221

2017 წლის 28 თებერვალი

ქ.ლაგოდეხი

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთის უპირობოდ, საჯარო აუქციონის ფორმით გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსი 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი და 119-ე მუხლის მე-2 პუნქტების, აგრეთვე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის N58 განკარგულების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალური ქონების იჯარის ფორმით გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის N4 განკარგულების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, იჯარის ფორმით გასაცემი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ“ შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. გაიცეს უპირობოდ, საჯარო აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ჭიაურში მდებარე 71183 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 54.06.58.230).

*საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 23 თებერვლის N375 მოხსენებითი ბარათი /.*


მუხლი 2. მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის N4 განკარგულების შესაბამისად - 1 780 (ათას შვიდას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს იოსებ ტყემალაძეს ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შეიტანოს მისამართზე: სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია